

შპს ბათვანი

LTD BATVANI

საქართველო, ქ. ოზურგეთი სოფ.მერია 599-49-09-09, ს /კ 437059095

თარიღი

30 სექტემბერი 2019 წელი

შპს "ბათვანი"

ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის,
რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	3
2. მომზადების საფუძველი	3
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	4
3.1 ვალუტა.....	4
3.2 ძირითადი საშუალებები	4
3.3 მოგების გადასახადი	6
3.4 მარაგები	6
3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან.....	7
3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.....	7
3.7 ფული და ფულის ექვივალენტები	7
3.8 კაპიტალი	7
3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.....	8
3.10 ბანკის სესხები	8
3.11 ამონაგების აღიარება.....	8
3.12 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	9
3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო.....	9
3.14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
5. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები.....	10
6. ფული და ფულის ექვივალენტები	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
8. მარაგები	12
9. ძირითადი საშუალებები	12
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება	13
12. სასესხო ვალდებულებები	14

13. საგადასახადო ვალდებულებები	13
14. საკუთარი კაპიტალი	14
15. შემოსავლები	14
16. ხარჯები	14
17. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	14
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

შინაარსი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბათვანი“ დაფუძნებულია და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ სამეწარმეო რეესტრში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2011 წლის 12 სექტემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 437059095.

კომპანიის პარტნიორები არიან შემდეგი პირები:

ჰუმანგ ბათვანი პ/ნ 01511103214 - 40%;
 გელა ლომჯარია პ/ნ 33001017847 - 15%;
 თენგიზ მჟავანაძე პ/ნ 61004009156 - 15%;
 ამირან მჟავანაძე პ/ნ 61006002498 - 15%;
 ოთარ მჟავანაძე პ/ნ 61004002036 - 15%;

კომპანიას თავის მხრივ არ ყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „ბათვანი“-ს იურიდიული მისამართია: ოზურგეთი დავით აღმაშენებლის ქ. N 98.
 ფაქტობრივი მისამართი ოზურგეთი სოფ. მერია,

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსის (ქვიშა-ხრეში) მოპოვება გადამუშავებას და რეალიზაციას.

კომპანიას მართავს დირექტორი ჰუმანგ ბათვანი პ/ნ 01511103214.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა” ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარის ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია წარმოადგენს საწარმოთა ჯგუფის წევრს, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ინდივიდუალური ხასიათისაა და ეხება მხოლოდ შპს „ბათვან“-ს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება წრფივი მეთოდი.

ჯგუფი
განაკვეთი (%)
შენობა-ნაგებობა
მანქანა-დანადგარები
სატრანსპორტო საშუალებები
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა

წლიური ცვეთის

5
8-20
20
15-20

შემცირებადი ნაშთის მეთოდით ცვეთის დარიცხვისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი (ესტონური მოდელი), რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტელეკომუნიკაციებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- დივიდენდის განაწილება;
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- ა) გათვალისწინებულია გამოსაყენებლად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

გაყიდვები ხორციელდება ძირითადად ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულის სახსრებს საღაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. კომპანიას 2018 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გამოუცხადებია.

3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.10 ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველანაირი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება (ელექტრონული სასაქონლო ზედნადების ან დღგ ანგარიშ ფაქტურის მეშვეობით). ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან

საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
 - კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
 - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
 - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეალიზაციასთან დაკავშირებული, დაბრუნებადი გადასახადების გარეშე.

3.12 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება წარმოებაზე გაწეული ხარჯებისაგან (ნედლეული და მასალები, შრომის ანაზღაურება და სხვა), ხარჯები (ნედლეული და მასალები), რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული, თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში).

3.14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. ამ შეფასების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება, რამაც თავის მხრივ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი.

საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები.

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	23982	20429
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	8966

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
	23985	29395

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	650169	618966

8. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მზა პროდუქცია	0	63261
ნედლეული და მასალები	10408	10258
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	21504	22968
	31912	96487

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სხვა ძირითადი საშუალება	მიწა	სულ
01-01-18	496791	15000	511791
შემოსვლა	0	0	200846
გასვლა			0
31-12-18	0	0	0
დაგროვილი ცვეთა			0
01-01-18	-355710	0	-355710
პერიოდის ცვეთა	-78011	0	-78011

წმინდა საბალანსო ღირებულება			0
01-01-18	141081	15000	78070
გუდვილი			
01-01-18	175000		175000
ამორტიზაცია			
01-01-18	-105000		-105000
31-12-18 პერიოდის ამორტ	-17500		-17500
31-12-18 ნარჩენი ღირ-ბა	52500		52500

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	161561	185816
მიღებული ავანსი	5359	4924
	166920	190740

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის და არც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18868	37576
	18868	37576

12. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
სასესხო ვალდებულებები	438969	476359
	438969	476359

13. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
საგადასახადო ვალდებულებები	30647	29345
	30647	29345

14. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
კაპიტალი შპს-ში	124500	19500
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	442183	426931
სხვა რეზერვები	0	0
	442183	426931

15. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლებმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 649173 ლარი, რომელიც მიღებულია საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან.

16. ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 633921 ლარი.

გარემოს

დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სასამართლო დავები არ გააჩნია.

17. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები


საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად
ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს "ბათვანი"-ს

წარმომადგენელი:



შოთა მუავაძე



ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

ანგარიშგებები

მომხმარებლები

შპს პატვანი, ს/გ: 437059095
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსი

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

ლარი

'000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფას სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა ბალანსის შედგენა ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☒ შეღავათების გარეშე ☐

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2018

31/12/2017

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

23,985

29,395

სავაჭრო მოთხოვნები

650,169

618,966

გადახდილი ავანსები

461,177

458,268

მარაგები



31,912



96,487

მზა პროდუქცია

0

63,261

სხვა

31,912

33,226

საინვესტიციო ქონება

0

0

სხვა მიმდინარე აქტივები

0

0

ბიოლოგიური აქტივები



0



0

თვითღირებულების მოდელით

0

0

გადაფასების მოდელით

0

0

გუდვილი	52,500	70,000
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	78,070	156,081
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა სანარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	1,297,813	1,429,197
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	161,561	185,816
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37,576	18,868
საგადასახადო ვალდებულებები	30,648	29,366
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	438,969	476,359
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	167,375	167,357
სულ ვალდებულებები	836,129	877,766
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	19,500	124,500
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	442,184	426,931
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	461,684	551,431

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები



1,297,813



1,429,197

< ანგარიშგება

შენახვა

ანგარიშგებები

მომხმარებლები

შპს ბათვანი, ს/გ: 437059095
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმატი

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსი

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

ლარი

'000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☒ შეღავათების გარეშე ☐

საქმიანობის შედეგები

2018

ნეტო ამონაგები



585,936

საქონლის გაყიდვიდან

585,936

მომსახურების გაწვიდან

0

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

0

სხვა

0

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება



-341,247

საწყისი მარაგები



-96,487

მარაგების შესყიდვა

-194,956

გადამუშავების დანახარჯები

-81,716

საბოლოო მარაგები



31,912

საერთო მოგება



244,689

სხვა შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-114,000
ცვეთა და ამორტიზაცია	-95,511
საპროცენტო შემოსავალი:	0
საპროცენტო ხარჯი :	-27,562
იჯარის ხარჯი	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-55,600
სულ საოპერაციო ხარჯები	-292,673
საოპერაციო მოგება	-47,984
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	0
მარაგები	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საფალუტო ოპერაციებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	63,237
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	15,253
მოგების გადასახადი	0
მოგება/(ზარალი)	15,253
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე სანარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახადელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	15,253
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	551,431
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

15,253

კაპიტალის სხვა ცვლილებები

-105,000

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს



461,684

< ანგარიშგება

შენახვა

ანგარიშგებები

მომხმარებლები

შპს ბაივანი, ს/ნ: 437059095
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები შესაშვ კატეგორი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ვრთული

ლარი

000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფას სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☒ შეღავათების გარეშე ☐

ფულადი სახსრების მოძრაობა

2018

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-5,410
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-5,410
სავალუტო კურსის ეფექტი	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	29,395
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,985

< ანგარიშგება

შენახვა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



76693614106817

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170776816



რეგისტრაციის თარიღი

11.07.2017 წ

ნოტარიუსი: ლეილა ჭედია

მისამართი: ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 17

ტელეფონი: (0 422) 27-38-80

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორი ათას ჩიდმეტი წლის თერთმეტ ივლისს, მე, ნოტარიუს ლეილა ჭედიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 17. მომმართა ბატონმა ჰუმანგ ბათავანმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ბათვანი“-ს (რეგისტრირებული 12.09.2011წ., საიდენტიფიკაციო კოდი №437059095, იურიდიული მისამართი: ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქ.98, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან) დირექტორი ფლობს ქართულ ენას და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ შოთა მჟავანაძეს (დაბადებული 06.01.1969წ., თბილისში, მისამართი: ოზურგეთი, ს. ჟორჟოლიანის ქ.31, პირადი №33001003293). მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ხოლო უფლებამოსილება შევამოწმე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „ბათვანი“-ს სახელზე გაცემული ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და წესდების საფუძველზე, დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს „ბათვანი“-ს დირექტორმა ბატონმა ჰუმანგ ბათავანმა (დაბადებული 22.05.1967წ., ირანში, პირადი №01511103214, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი ბათუმი, წმინდა ევდემოზ პირველი (დიასამიძე)ს ქუჩა, N 39) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ექვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი ქართულ ენაზე, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თნდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თერთმეტ ივლისს, შპს „ბათვანი“-ს (რეგისტრირებული 12.09.2011წ., საიდენტიფიკაციო კოდი №437059095, იურიდიული მისამართი: ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქ.98, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან) რომელიც ამ მინდობილობაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“ დირექტორმა ბატონმა ჰუმანგ ბათავანმა (დაბადებული 22.05.1967წ., ირანში, პირადი №01511103214, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი ბათუმი, წმინდა ევდემოზ პირველი (დიასამიძე)ს ქუჩა, N 39), ბატონ შოთა მჟავანაძეს (დაბადებული 06.01.1969წ., თბილისში, მისამართი: ოზურგეთი, ს. ჟორჟოლიანის ქ.31, პირადი №33001003293) რომელიც მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობილი პირი“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი იცავს მიმნდობის შპს „ბათვანი“-ს ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს ამ მიზნით მინდობილი პირი მიმნდობს წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოებში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურებში, სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურებში, საარქივო დაწესებულებებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, შსს საქვეუწყებო დაწესებულებებში, პოლიციაში, პროკურატურაში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის საარბიტრაჟო და საკონსტიტუციო სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის მოთხოვნები, დასაჯიები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე.

შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს საპედაციო და საკასაციო საჩივარი. მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო წარმოებაში, წარმოადგინოს მიმდომი აღსრულების ეროვნული ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი და იყოს წარმომადგენელი, შეაჩეროს, გამოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი, საქმე დაამთავროს მორიგებით. ხელი მოაწეროს მორიგების აქტს და საგადასახადო შეთანხმებას, გადაიხადოს ან დაიბრუნოს უკან სახელმწიფო ბაჟი. მიმდომილი პირი ასევე უფლებამოსილის ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირიდან გამოითხოვოს საბუღალტრო საქმეები(დოკუმენტები), გადაიღოს ფოტოასლები, ხელი მოაწეროს მიმდომის სახელით და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის აღნიშნული წინამდებარე მიმდომილობაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მიმდომილობა გაცემულია 3(სამი) წლის ვადით უფლებამოსილების მთლიანი და/ან ნაწილობრივი გადანდობის უფლებით.

წინამდებარე მიმდომილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლეილა ჭედიასთან, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმდომს.


მიმდომილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. შპს „ბათვანი“-ს სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (ელ. ასლი)
2. შპს „ბათვანი“-ს წესდება ელექტრონული ასლი ხელმისაწვდომია ჩემთვის, ელექტრონული წესით განთავსებულია საჯარო რეესტრის ელექტრონულ მისამართზე <https://enreg.reestri.gov.ge>

მიმდომმა გადაიხადა საზღაური: 10,0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) 31-ე მუხლისა + დღგ 1,80 ლარი, თანახმად სსკ-ის 169-ე მუხლისა + ელ. სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2,0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 13,8 (ცამეტი მთელი და რვა მეათედი) ლარი.

მიმდომის ხელმოწერა:

ჭედილა ჭედიასი



ნოტარიუსი

/ლ. ჭედიასი/

